თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №52

28 ივნისი 2018 წ.
ქ. თელავი

## თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 26/01/2018, 010250050.35.163.016388) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამა“ მე-6 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახები, რომლებსაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები, სადაც ცხოვრება შეუძლებელია და საფრთხეს უქმნის მოქალაქეების სიცოცხლეს, მათ ჯანმრთელობას, ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი, მათი უსაფრთხოების და საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით მოხდეს დროებითი საცხოვრებლის ქირის თანხით დაფინანსება, ქირის საფასურის გადახდით თვეში 100 ლარის ფარგლებში.

პროგრამაში ჩასართავად საჭიროა:

ა. განცხადება;

ბ. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

გ. ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან ქულების შესახებ;

დ. ადმინისტრაციული ერთეულიდან მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე